# განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში ვაჟა ფშაველას №1 ში მდებარე საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური შენობის მიმდებარედ პროექტით გათვალისწინებულია ორი პავილიონის მშენებლობა.

პირველი ბლოკი - ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან შენობის გაბარიტებია 12.5 x 6.9 მ.

მეორე ბლოკი - პეკინის გამზირის მხრიდან შენობის გაბარიტებია 54.0 x 8.2 მ .

არქიტექტურულ გეგმარებითი გადაწყვეტის დროს ჩვენ ვიხელმძღვანელეთ დავალების მოთხოვნებით და მოცემული შესაძლებლობებით.

ორივე შენობა დაპროექტებულია ლითონის კონსტრუქციებით. მთავარი ფასადის მხარეს გათვალისწინებულია სავალი ნაწილის გადახურვა. გარე კედლები და სახურავი მოპირკეთებულია კომპოზიტური ალუმინით. კედლები შიგნიდან მოპირკეთებულია ლამინირებული ხის ფაქტურით. კედლის პანელში არის წყლის და ხანძარმედეგი თბოიზოლაცია.

პირველ ბლოკში გათვალისწინებულია დარბაზი მოზარდებისათვის 50.0 მ$^2$ რბილი ავეჯით, თაროებით და რამოდენიმე კუთხე კომპიუტერის განსათავსებლად. ასევე არქივის თანამშრომლებისთვის 15მ$^2$ სივრცე.

მეორე ბლოკში გათვალისწინებულია დარბაზი გამოფენისთვის 301.0 მ$^2$ . დარბაზში შეძლება ბავშვთა შემეცნების სივრცის იოლად გადატიხვრა. სასაჩუქრე მაღაზია და კაფე 71.0 მ$^2$, საწყობი 26.5 მ$^2$.

ორივე ბლოკში შშმ პირების გადაადგილებისათვის პანდუსები და სველი წერტილებია გათვალისწინებული.

სივრცის გეგმარება ავეჯის განლაგებით დაკორექტირდება დამკვეთთან ერთად.

შენობის ორივე ბლოკი აკმაყოფილებს თანამედროვე არქიტექტურის მოთხოვნებს.

თანამედროვე საფასადე კომპოზიტური ალუმინის შერწყმა ფასადის მინის ნაწილთან, შენობას აძლევს როგორც არქიტექტურულად ასევე ესთეტიურად თანამედროვე ვიზუალს. ამასთან ერთად დაცული უნდა იყოს შენობის ფუნქციონალური დამოკიდებულება მის დიზაინთან, რასაც ნათლად ხედავთ 3D ვიზუალში.